სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

აპრილი 2018

- 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასები 2018 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, 3.4%-ით გაიზარდა;
- საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 2018 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, 6%-ით გაიზარდა;
- Airbnb-ის მიხედვით, აპრილში, საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების[1] დედაქალაქებს შორის, ტურისტებისთვის ბინები (apartments) ყველაზე იაფი ანკარაშია ($35), ყველაზე ძვირი მოსკოვში ($130);
- Airbnb-ის მიხედვით, აპრილში ბინის საშუალო ფასმა თბილისში $44 შეადგინა, ხოლო საქართველოში-45$;
- 2016-2017 წლებში საქართველოში ყველაზე მეტი განთავსების საშუალება[2], ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, გურიაში გაიხსნა, ჯამში 30 ერთეული.

სასტუმროების საშუალო ფასები

2018 წლის აპრილში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[3] **136 ლარი** შეადგინა. სამ ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასი, კვლავ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფიქსირდა (საშუალოზე 20%-ით მაღალი).

4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა აპრილში **234 ლარი** შეადგინა. აპრილში, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ამ ტიპის სასტუმროებში თბილისში დაფიქსირდა (საშუალოზე 16%-ით მაღალი).

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აპრილში **394 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 615 ლარი შეადგინა, კახეთში - 357 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 304 ლარი, ხოლო აჭარაში - 291 ლარი.

საოჯახო ტიპის სასტუმროების[4] საშუალო ფასმა აპრილის თვეში **75 ლარი** შეადგინა, ყველაზე მაღალი ფასი საოჯახო ტიპის სასტუმროებში, მარტის მსგავსად, ქვემო ქართლის და გურიის რეგიონებში დაფიქსირდა.

რაც შეეხება ბინებს, Airbnb-ის მიხედვით საქართველოში ბინების საშუალო ფასმა აპრილში $45 (110 ლარი) შეადგინა. საქართველოს და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ტურისტებისთვის ბინები ყველაზე იაფი საქართველოშია, ბინების ყველაზე მაღალი საშუალო ფასი რუსეთში დაფიქსირდა-134$, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი-$53, თურქეთი-$50 და სომხეთი-$49. საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების დედაქალქებს შორის, ბინების დაჯავშნა ტურისტებს ყველაზე იაფად თურქეთის დედაქალაქ ანკარაში შეუძლიათ-$35, ბინები ყველაზე ძვირი მოსკოვშია-$130. თბილისში ბინების საშუალო ფასმა $44-შეადგინა, ერევანში-$49, ხოლო ბაქოში-54$.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროების ფასების ინდექსი

სასტუმროების ფასების ინდექსი[5] 2018 წლის აპრილში, მარტის თვესთან შედარებით, 4.2%-ით გაიზარდა. სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად დედაქალაქში გაიზარდა (6.3%-ით), ფასები ყველაზე მეტად შემცირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (4.1%-ით).

აღსანიშნავია, რომ აპრილში, მარტთან შედარებით, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 3.1%-ით გაიზარდა, ხოლო 24 საათით და მეტი დროით (ტურისტი) საქართველოში მყოფი საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 4.8%-ით შემცირდა[6].

3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 2018 წლის აპრილში, მარტთან შედარებით, 3.4%-ით გაიზარდა. მარტის მსგავსად, ამ ტიპის სასტუმროებში ფასები ყველაზე მეტად გაიზარდა თბილისში და აჭარაში, ხოლო ყველაზე მეტად შემცირდა მცხეთა-მთიანეთში.

საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები აპრილში, მარტთან შედარებით 6%-ით გაიზარდა. რეგიონების მიხედვით, ფასები ყველაზე მეტად თბილისში გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო	3*, 4*, 5*	საოჯახო
თბილისი	6.3%	5.3%	10.6%
აჭარა	3.7%	5.1%	1.2%
გურია	3.2%	0.0%	4.2%
შიდა ქართლი	3.2%		3.2%
კახეთი	2.4%	3.1%	2.2%
იმერეთი	1.9%	2.4%	1.5%
ქვემო ქართლი	1.6%	2.5%	0.0%
რაჭა	0.7%		0.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.6%	-0.9%	1.2%
სამცხე-ჯავახეთი	0.5%	-0.2%	0.9%
მცხეთა-მთიანეთი	-4.1%	-8.1%	0.4%
სულ ფასების % ცვლილება	4.2%	3.4%	6.0%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2018 წლის აპრილში 2018 წლის მარტის ფასებთან შედარებით

განთავსების საშუალებების სტატისტიკა 2016-2017

რეგიონი	2016	2017
გურია	8	22
აჭარა	5	22
თბილისი	9	16
სამცხე-ჯავახეთი	9	6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	6
იმერეთი	3	7
მცხეთა-მთიანეთი	2	2
კახეთი	2	1
შიდა ქართლი	2	
ქვემო ქართლი	1	

ცხრილი 2: გახსნილი განთავსების საშუალებების რაოდენობები
წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში ყველაზე მეტი განთავსების საშუალება[2], ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, გურიაში გაიხსნა, ჯამში 30 ერთეული. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში გურიაში 32 ახალი განთავსების საშუალება შენდება.

2016-2017 წლებში, განთავსების საშუალებების რაოდენობები, ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა აჭარაში და თბილისში. რაც შეეხება ქვემო ქართლს და შიდა ქართლს, მოცემულ რეგიონებში ყველაზე ნაკლები განთავსების საშუალება გაიხსნა, შესაბამისად 2 და 1 ერთეული.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2016-2017 წლებში არც ერთი განთავსების საშუალება არ გახსნილა რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, ხოლო 2018 წელს, მხოლოდ 1 განთავსების საშუალება გაიხსნა. მიმდინარე პერიოდში, რეგიონში 3 განთავსების საშუალების მშენებლობა მიმდიონარეობს.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	II 2016	III 2016	IV 2016	2016	I 2017*	II 2017*	III 2017*	IV 2017 *	2017 *	I 2018*
1	489.3	559,1	493.4	1978.3	458.7	549	647.7	579.9	2235.4	
2	1505	2245.1	1473.8	6360.5	1267	1730	2827	1732.1	7556.3	1463.6
3	606.3	1146.6	559.6	2721	514.4	796.2	1473.6	695.3	3479.5	659.3
4	515.4	817.2	481.2	2166.3	434.6	658.8	1081.1	576.8	2751.3	
5	103	107.8	92.4	386.3	81.4	109.5	152	120.7	463.6	
6	0.8	12.5	35.3	56.9	16.1	31.7	30.6	11.6	90	

1 ტურიზმის სფეროებში შექმნილი დამატებითი ღირებულება (მლნ. ლარი)

2 საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა (ათასი კაცი)

3 ტურისტების რაოდენობა (24 საათი და მეტი, ათასი კაცი)

4 შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან (მლნ. აშშ დოლარი)

5 საქართველოს მოქალაქეების ტურისტული დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ. აშშ დოლარი)

6 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სასტუმროების და რესტორნების სექტორში (მლნ. აშშ დოლარი)

1 სოჭხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი,
2 ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიხედვით, განთავსების საშუალებებში შედის- სასტუმრო, საოჯახო სასტუმრო, სასტუმრო სახლი და სხვა ტიპის სასტუმროები.
3 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონხში და თბილისში 3, 4, 5 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა ფემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3, 4, 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
4 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
5 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. (Consumer Price Index Manual-Theory and Practice(2004), Practical Guide to Producing Consumer Price Indices (2009).
6 ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს 596,703 საერთაშორისო ვიზიტორი ენვია, აქედან 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 278,032 ვიზიტორი გაჩერდა. 2018 წლის მარტში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა 578,514 -ს შეადგენდა, ხოლო მათ შორის 24 საათი და მეტი დროით ქვეყანაში 292,017 ვიზიტორი გაჩერდა.